პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 169 (10866) | პარასკევი, 19 ივლისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

პოლიტიკური აგიტაცია მინდვრად

პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა, მთელმა საბჭოხალხმა ერთსულოვნად მოიწონეს მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას „გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“. საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო ადრეულ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, როგორც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს ლენინის გზით.

ჩვენი ქვეყანა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდ წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის თავდადებით მუშაობენ საქართველოს მშრომელები. ამჟამად ხალხის საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში დიდი შეუდგებითი შრომაა გაჩაღებული, ამატებით მიმდინარეობს პურეულის მოსავლის აღება და ჩაის ფოთლის კრეფა, სულ უფრო ძლიერდება ბაქოს ფოთლის შეტეხა, სათოხნ-კულტურების მოვლა-დამუშავება. ფოთლის მეურნეობის მშრომელები მისათვის იბრძვიან, რომ ღირსეული შეიტანონ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში, სოციალისტური ეკონომიკის გაძლიერებელ აღმავლობაში.

პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი უბანი ყოველთვის იყო და არის პოლიტიკური მუშაობა მასებში. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა წარმოადგენს სამეურნეო წარმატებათა საფუძველს, პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად მშრომელთა დარაზმვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას. მოსავლის აღების პერიოდში საჭიროა ადგომ გავაუმჯობესოთ პოლიტიკური აგიტაციის იდეური შინაარსი, ადგილ უფრო კონკრეტული და ქმედითი, მებრძოლი და მიზანდასახული გავხადოთ იგი. ამ დღეებში აგიტატორის ადგილია მინდვრად — პურის ყანებსა და ჩაის პლანტაციებში, მექანიზებულ კალოებსა და თამბაქოს საშრობებში, კომბაინის აგრეგატთა სადგომებსა და სატრაქტორო ბრიგადებში, ვენახებსა და სიმინდის ყანებში.

ჩვენი რესპუბლიკის მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში მასებში პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს. აგიტკოლექტივებმა ძლიერი კავშირი დაამყარეს მშრომელებთან, უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადეს პოლიტიკური აგიტაცია, მისი ფორმები და მეთოდები. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა მასებში პოლიტიკური მუშაობის ისეთმა ფორმებმა, როგორიც არის აგიტპუნქტები მექანიზებულ და საველე კალოებზე, პარტიული და საბჭოთა მუშაკების პოლიტიკური მოხსენებები მშრომელთა ბრიგადებზე, აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებსა და მტს-ების ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს მინდვრად პოლიტიკური აგიტაციის გასაძლიერებლად, ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აფენის მტს-ის პარტიული ორგანიზაციისა და აგიტკოლექტივის საქმიანობა. აგიტკოლექტივმა მოფიქრებულად შეადგინა მოსავლის აღების პერიოდში საააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოწყობის გეგმა და ახლა წარმატებით ახორციელებს მას. ამ გეგმის მიხედვით აგიტატორებმა ზ. ხუციშვილმა, მ. რეხვიაშვილმა, ვ. ლობჟანიძემ და სხვებმა მექანიზატორებთან გამართეს საუბრები თემებზე: „სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი“, „სრული დატვირთვით ვამუშაოთ კომბაინი“, „როგორ ავიღოთ ჩაწოლილი პური“ და სხვ. კომბაინის აგრეგატთა სადგომებთან ეწყობა მოხსენებები და საუბრები, იმართება მხატვრული საღამოები, გამოდის საველე გაზეთები. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებასთან ერთად ყურადღება ექცევა მექანიზატორთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, კომბაინის აგრეგატთა სადგომებთან მოეწყო საველე სასადილოები და საპარიკმახეროები, მოგვარებულია მინდვრად მექანიზატორთა სამედიცინო მომსახურება და მათთვის ახალი ჟურნალ-გაზეთების მიწოდება.

პურეულის აღებასთან ერთად ფართოდ არის გაჩაღებული ჩაის ფოთლის კრეფა სუბტროპიკულ რაიონებში. წელს საქართველოს მეჩაიეებმა უნდა მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 125 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაი. ამ დავალების შესასრულებლად დიდ მუშაობას ეწევიან, მაგალითად, ახალციხის რაიონის პარტიული ორგანიზაციები და აგიტატორები. ისინი სიტყვითა და საქმით რაზმავენ კოლმეურნეებს დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავისათვის ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. მაგრამ ყველა პარტიული ორგანიზაციისა და აგიტატორის შესახებ ამას ვერ ვიტყვით. მაგალითად, სოფელ კონჭკათის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს მინდვრად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობას. აგიტატორები ჩაის პლანტაციების იშვიათი სტუმრები არიან. პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო კოლმეურნეთა დარაზმვა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად. ამის შედეგად კოლმეურნეობა შეუწყნარებლად ჩამორჩა ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმის შესრულებაში. პარტიის მახარაძის რაიკომმა მეტი მუშაობა უნდა აწარმოოს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში და ამ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებში, დაეხმაროს მათ პოლიტიკური აგიტაციის შინაარსის გაუმჯობესებაში.

მინდვრად პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ბოლშევიკური აგიტაციის ყველა ფორმა და საშუალება. მოსავლის აღების პერიოდში კიდევ მეტად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რაიონულმა და ძირეულმა პრესამ.

აგიტატორები პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწენი არიან მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში, ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში. პარტიის რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიურად აუმჯობესონ საააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, დარაზმონ მასები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტოდორ ჟივკოვი

17 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, რომელიც დასასვენებლად იმყოფება საბჭოთა კავშირში, და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ე. კარდელი და ა. რანკოვიჩი

18 ივლისს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დასასვენებლად საბჭოთა კავშირში მყოფი იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილეები, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ე. კარდელი და ა. რანკოვიჩი და ჰქონდა მათთან საუბარი, რომელიც გულწრფელ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბარს დაესწრო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვ. მიჩუნოვიჩი. (საკდესი).

დღეს, 19 ივლისს დღის 12 საათზე თბილისის შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს IV პლენუმი

დღის წესრიგი

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს VI პლენუმის შედეგებისა და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მრეწველობისა და მშენებლობის, მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

33 ცენტნერი პური ჰექტარზე

თელავი. (საკ. კორ.). კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში თელავის მტს-ის მექანიზატორები ყოველწლიურად ხორბლის უხვ მოსავალს იღებენ, მაგრამ ისეთი მოსავალი როგორიც წელს არის, არასოდეს არ ყოფილა. კომბაინერმა ზაქარია წულუკიძემ 6 ჰექტარზე, სადაც ხორბლის ჯიში „მოწინავე“ ეთესა, ჰექტარზე საშუალოდ 33 ცენტნერი პური აიღო.

მაღალი მოსავალია სხვა ნაკვეთებშიც. 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 25 ცენტნერი ლაგოდეხის გრძელთავთავას ჯიშის ხორბალი.

პირველი კომბაინი

ამბროლაური. (საკ. კორ.). ამბროლაურის მტს-მა ამ დღეებში მიიღო „სტალინეც-6“ მარკის ახალი კომბაინი. ეს პირველი კომბაინია რაიონში.

კომბაინი ხორბლის აღებაში მოემსახურება ჭყვიშის ვოროშილოვის სახელობის, სადმელის სტალინის სახელობის და ძირაგეულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებს.

გუმათკესის მშენებელთა წარმატება

ქუთაისი. (საკ. კორ.). გუმათკესის მშენებელთა კოლექტივი, რომელიც ლაჯანურიშვილის მშენებლებს ეჯიბრება, სასახელოდ ასრულებს საოქტომბროდ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. მათ ვადამდე 15 დღით ადრე გაანაღდეს ნახევარი წლის დავალება და გეგმის გადამეტებით სამი მილიონი მანეთის სამუშაო შეასრულეს. განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი სამშენებლო უბნის კოლექტივი.

მაღალი მაჩვენებლების მოპოვებაში მშენებლებს დიდად შეუწყო ხელი ბეტონის დამზადებისა და ადგილზე მიწოდების, აგრეთვე სხვა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციამ. საბაგირო გზის ექსპლოატაციაში გაშვებით ახლა ყოველდღიურად აწყობენ 1.500 ტონა ბეტონს. საწარმოო დავალებას გადამეტებით ასრულებს ბეტონის ქარხანა, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს მშენებელთა მოთხოვნილებას.

მებეტონეები დ. სულამანიძე, დ. ტოკაშკოლი, შემდღუღებელი ი. რედოვი, მღარავი კ. ტაბატაძე, დურგალი შ. თულაევი, მეარმატურე გ. უგლავა ყოველდღიურ დავალებას 150-160 პროცენტით ანაღდებენ.

მშენებელთა მთელი კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ აგვისტომდე დაამთავროს საგენერატორო სადგურის საფუძვლის მშენებლობა, მდინარე რიონის გადაშვება გუმათის მეორე სადერივაციო არხში და ნაცვლად წინათ ნაკისრი 5 დეკემბრისა წლიური დავალება შეასრულოს 7 ნოემბრისათვის.

მოსწავლეები ეხმარებიან კოლმეურნეებს

თერჯოლა. (საკ. კორ.). თერჯოლის საშუალო სკოლის მოსწავლეები შარშან კარგად ეხმარებოდნენ კოლმეურნეებს — სიმინდი აიღეს 160 ჰექტარზე, გაარჩიეს 92 ტონა სიმინდის თესლი, დაამზადეს 17 ტონა თივა, მომკეს სოია 50 ჰექტარზე.

კიდევ უფრო ენერგიულად შრომობენ მოსწავლეები წელს. საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობა მიიღო 375 მოსწავლემ. საზაფხულო არდადეგების პერიოდში შეიქმნა მოსწავლეთა 24 რგოლი. ისინი უვლიან ვენახებს, კრეფენ ჩაის ფოთოლს, თიბავენ ბალახს, თოხნიან სიმინდს, უვლიან პიტუყს. შრომის კარგ მაგალითს იძლევა X კლასის მოსწავლე ნ. ლილუაშვილი. იგი ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში უვლის ძროხებს. წელს ასამდე შრომადღე აქვს გამომუშავებული. აკეთებენ ბევრი შრომადღე გამოიმუშავეს მოსწავლეებმა თ. რობაქიძემ, ზ. მაკარიძემ, ნ. არსენიძემ, ლ. ქურციკიძემ და სხვებმა.



თბილისის კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანაში საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა მექანიკური საამქროს ხარატი ბ. პერეკრესტოვი. იგი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ბ. პერეკრესტოვი მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

ზრდიან საწარმოო მაჩვენებლებს

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის ნავსადგურში თავდადებული შრომაა გაჩაღებული. მეამწეები და მუშები არ იშურებენ ენერგიას იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრონ მეექვსე ხუთწლედის მეორე წელი, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრომ დააჯილდოვა ნავსადგურის კოლექტივი. ნავსადგურის უფროსის კ. რეკვავას, პარტკომის მდივნის ი. გასვიანის და პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ჩაჩიბაიას სახელზე გამოგზავნილ რადიოგრამაში წერია: „სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1957 წლის პირველი კვარტალის შედეგებით ფოთის ნავსადგურის კოლექტივს მიეკუთვნა მეორე ფულადი პრემია“.

ნავსადგურელებმა მეორე კვარტალში კიდევ უკეთესად იმუშავეს და ყველა საწარმოო მაჩვენებლები გადაჭარბებით შეასრულეს. ივლისის პირველ დეკადაში არანაკლებად მუშაობენ მეამწეები და მტვირთავები. ნავსადგურელები იბრძვიან კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვონ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

217 ათასი მანეთი მეფრინველეობიდან

წითელწყაროს. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. აქ მნიშვნელოვნად გაადიდეს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ხორცის, რძისა და ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე კვერცხის წარმოება.

გასულ წელს მეფრინველეობის ფერმის მუშაკებმა თვალსაჩინო წარმატებით დაამთავრეს სამეურნეო წელი. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარებისა და შესყიდვის გეგმები, საწყნილე კვერცხით მოამარაგეს კახეთის რაიონების საინკუბატორო სადგურები. მარტო კვერცხის რეალიზაციით კოლმეურნეობამ მიიღო 40.000 მანეთი, ხოლო მთლიანად ფერმიდან მიღებული შემოსავალი 217 ათას მანეთს აღემატება.

ფერმის მუშაკებს უკეთესი მაჩვენებლები აქვთ მიმდინარე სამეურნეო წელს. გეგმით ერთ კვერცხმდებელ ქათამზე უნდა მიეღოთ 80 კვერცხი, რაც 10 ივნისისათვის გადაჭარბებით იქნა შესრულებული. კოლმეურნეები ახლა წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება — ერთ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღონ 120 კვერცხი.

დიდ წარმატებას მიაღწიეს წიწილების გაზრდის საქმეში. წელს საინკუბატორო სადგურიდან გამოიყვანეს 8.500 წიწილა, სათანადო მოვლა-პატრონობის შედეგად გაზარდეს და შეინარჩუნეს 97,7 პროცენტი, გეგმა კი 80 პროცენტს ითვალისწინებდა.

ფერმის საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფერმის გამგეს დ. ბოსტოღანაშვილს, ბრიგადირებს ი. ბენაშვილს და ნ. ლეკაშვილს.

ახლა ფერმაში მოიტანეს გალიური შენახვის ბატარიები 3.000 კვერცხმდებელი ქათმისათვის. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს შენობის აგება მეფრინველეობის ფაბრიკისათვის, პარალელურად წარმოებს ბატარიების აწყობა. კოლმეურნეობას გათვალისწინებული აქვს ფაბრიკა საექსპლოატაციოდ გადასცეს 1 აგვისტოსათვის.

ქათმების ბატარიული წესით შენახვა კიდევ უფრო გაზრდის პროდუქტიულობას, შემცირდება შრომის დანახარჯები, შემსუბუქდება მომსახურე პერსონალის შრომა. მექანიზებული იქნება ფაბრიკაში ქათმებისათვის წყლისა და საკვების მიწოდება, აგრეთვე ფაბრიკიდან ნაკელის გამოტანა.



17 ივლისი

მარნეულის მტს-ი

ბ. სვინოლუპოვმა სოფელ სამირქედის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით პურეულის მოსავალი აიღო 22 ჰექტარზე, რითაც დღიურ ნორმას 12 ჰექტარით გადაჭარბა. სულ რვა სამუშაო დღეში აღებული აქვს 170 ჰექტარი. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 18 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 10 ცენტნერისა.

ალი ყარზალიევი „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მუშაობს სოფელ ყიზილაჯლოს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში. მომკა 23 ჰექტარი პურეული ნაცვლად 10 ჰექტარისა. სულ რვა სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი აღებული აქვს 180 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ჰექტარისა.

ზ. იუშკომ სოფელ მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 25 ჰექტარზე და ამით დღიურ ნორმას 15 ჰექტარით გადაჭარბა. საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 21 ცენტნერი მარცვლეული ნაცვლად 16 ცენტნერისა. ამმხ. იუშკოს აგრეგატის კოლექტივმა ცხრა სამუშაო დღეში 210 ჰექტარი პურეული მომკა და ამით ნაკისრი ვალდებულება 102 პროცენტით გაანაღდა.

ახალი წიგნები. გამოცემული პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა-მიერ

ლენინი — ფილოსოფიისა და ეკონომიკური კითხვების შესახებ. ტირაჟი 75 ათასი. 296 გვ. ფასი 5 მან. 50 კაპ.

ი. ბ. სტალინი — **ოქტომბრის რევოლუციის შესახებ.** კრებული ი. ბ. სტალინის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ნაშრომებისა, რომლებიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი. ტირაჟი 100 ათასი. 95 გვ. ფასი 1 მან.

ნ. კ. კრუპსკაია — **ოქტომბრის დღეებში.** წიგნიდან „მოგონებანი ლენინზე“. ტირაჟი 200 ათასი, ფასი 30 კაპ.

პარტიული მუშაობის საკითხები. კრებული. ტირაჟი 50 ათასი. 407 გვ. ფასი 6 მან.

იტალიის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის მასალები. კრებული. ფასი 6 მან. 20 კაპ.

თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმი. კრიტიკული ნარკვევები. ტირაჟი 30 ათასი, 526 გვ., ფასი 9 მან.

ა. ტროფიმოვი — **მუშათა მოძრაობა რუსეთში 1861-1894 წლებში.** ტირაჟი 15 ათასი, 199 გვ., ფასი 2 მან. 50 კაპ.

ო. პ. კალეკინა — **მარქსისტული ლიტერატურის გამოცემა რუსეთში XIX საუკუნის დამლევს.** ტირაჟი 15 ათასი, 143 გვ., ფასი 1 მან. 75 კაპ.

ი. ვ. სპირიდონოვი — **ლენინგრადი 250 წლისაა.** ტირაჟი 100 ათასი, 76 გვ., ფასი 1 მან.

სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ქვეყნები ციფრებში (სტატისტიკური მასალა პროპაგანდისტებისათვის). ტირაჟი 150 ათასი, 123 გვ., ფასი 1 მან. 75 კაპ.

ა. შლიხტერი — **რა არის კაპიტალიზმის დროს გლეხთა გაღატაკებისა და გაჩანაგების მიზეზი.** ტირაჟი 100 ათასი, 67 გვ., ფასი 75 კაპ.

ვ. ს. ბასკინი — **ნავთობის მონოპოლიები ახლო და შუა აღმოსავლეთში.** ტირაჟი 15 ათასი, 178 გვ., ფასი 2 მან. 30 კაპ.

ნ. ნ. ნეკრასოვი — **მრეწველობის ეკონომიკა და ტექნიკური პროგრესი.** ტირაჟი 25 ათასი, 117 გვ. ფასი 1 მან. 80 კაპ.

ა. ფ. გარმაშევი — **გამომგონებლობა სსრ კავშირში.** ტირაჟი 25 ათასი, 146 გვ., ფასი 1 მან. 80 კაპ.

ს. გ. სტრუმილინი — **წარმოების ავტომატიზაციის ეკონომიური პრობლემები.** ტირაჟი 50 ათასი. ფასი 50 კაპ. (საკდესი).

რკინიგზელთა ღამის სანატორიუმი

თბილისში, საბჭოს ქუჩაზე, სამსართულიან შენობაში მოთავსებულია რკინიგზელთა ღამის სანატორიუმი. სანატორიუმში მუშა-მოსამსახურეები მიდიან მუშაობის შემდეგ და მთელ ღამეს იქ ატარებენ. იქ მათთვის მოწყობილია საუკეთესო კვება, სამედიცინო დახმარება, გართობა. ღამის ცვლის მუშა-მოსამსახურეები ისვენებენ მუშაობის დამთავრების შემდეგ.

სანატორიუმმა ათი წლის არსებობის მანძილზე მომსახურება გაუწია 6.200-ზე მეტ რკინიგზელს. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აქ მკურნალობა გაიარა 300-ზე მეტმა კაცმა.

ამ სანატორიუმის მაგალითისამებრ თბილისის ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაშიც გაიხსნა ახალი ღამის სანატორიუმი.

ი. მჟედლიშვილი.

ახალი პოლიკლინიკა და საავადმყოფო

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში ამ დღეებში გაიხსნა პოლიკლინიკა და საავადმყოფო.

პოლიკლინიკას აქვს ქირურგიული, თერაპევტული, პედიატრიული, გინეკოლოგიური, სტომატოლოგიური და რენტგენოლოგიური კაბინეტები. პოლიკლინიკასთან გახსნილია ახალი 25-საწოლიანი საავადმყოფო.

ახალი სამკურნალო დაწესებულებები მომსახურებას გაუწევენ სოფლებს ხოვლეს, ყარაღაჯს, დოესს, სასირეთს, ქვემო გომს და სხვ.

ნ. იტრიევი.

სურათზე: ოჩამჩირის რაიონის სოფელ ღვადის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადაში ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხს ამოწმებს ბრიგადირი ჯ. აშუბა (მარჯვნივ).

ფოტო გ. კვირკველიასი.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ორმოცდაათი წელი

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თეზისები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიული კავშირები ჩვენს ქვეყანაში აღმოცენდნენ 50 წლის წინათ, 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როცა რუსეთში უკვე არსებობდა დიდი ლენინის მიერ შექმნილი რევოლუციური მარქსისტული პარტია, როცა მუშათა კლასმა უკვე შეიგნო თავისი საერთოკლასობრივი ინტერესები და თავისი გაერთიანების საჭიროება. რუსეთის პროფესიული კავშირები, რომლებსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის პირველ რევოლუციაში. რეაქციის წლებში და ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში ისინი წარმოადგენდნენ საწარმოებში პარტიის დასაყრდენ პუნქტებს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის მეორმოცე წლისთავი წელს აღინიშნება, დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კომუნიზმის ერას. მუშათა კლასი, რომელიც წინათ ექსპლოატირებული და ჩაგრული იყო, ჩვენს ქვეყანაში მმართველი კლასი გახდა. მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგ ძირეულად შეიცვალა პროფკავშირების მდგომარეობა და ამოცანები. პროფკავშირების როლი საბჭოთა სახელმწიფოში როგორც კომუნიზმის სკოლისა განსაზღვრული და მეცნიერულად დასაბუთებულია ვ. ი. ლენინის მიერ.

სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პროფკავშირები ახორციელებდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისაკენ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისაკენ.

პროფკავშირები ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციაა. ისინი თავიანთ რიგებში აერთიანებენ 47 მილიონზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს, ეწევიან მრავალმხრივ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას, რაზმავენ მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის. ისინი მუშათა კლასის მასებს აერთებენ მის ავანგარდთან — კომუნისტურ პარტიასთან, იზიდავენ მშრომელებს სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

I. პროფესიული კავშირების წარმოშობა რუსეთში და მათი როლი პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში

1. XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს რუსეთი განვითარების იმპერიალისტურ გზას დაადგა. მეფის რუსეთის პირობებში, სადაც შეერთებული იყო სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყველა სახე, მუშათა კლასი ექსპლოატაციის ყველაზე სასტიკ ფორმებს განიცდიდა. იგი მოკლებული იყო ელემენტარულ დემოკრატიულ უფლებებს და შესაძლებლობა არ ჰქონდა თავისუფლად გაერთიანებულიყო პროფკავშირებად და მუშათა სხვა ორგანიზაციებად.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907 წწ.) მუშათა კლასმა პირველად იწყო პროფესიული კავშირების, როგორც ფართო პროლეტარული მასების ორგანიზაციის შექმნა. რუსეთში პროფკავშირების გამოჩენა მუშათა მოძრაობის განვითარების ახალი ეტაპი იყო.

2. რუსეთის პროფკავშირები სხვა ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში წარმოიშენენ, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის პროფკავშირები. იქ ისინი მუშათა კლასის მარქსისტული პარტიების გამოჩენამდე ბევრად უფრო ადრე ჩამოყალიბდნენ და კაპიტალიზმის შედარებით მშვიდი განვითარების პირობებში იზრდებოდნენ. ბურჟუაზიის მიერ გარყვნილი პროფკავშირული ლიდერები ახორციელებდნენ, როგორც ლენინი წერდა, ბურჟუაზიულ პოლიტიკას, ესე იგი კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებისაკენ მიმართულ პოლიტიკას.

ამის საწინააღმდეგოდ, რუსეთის პროფკავშირები იშვნენ რევოლუციური ბრძოლების ცეცხლში და ვითარდებოდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მწვავე ბრძოლაში მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისათვის დაემორჩილებინათ პროლეტარიატის მასობრივი ორგანიზაციები და გადაექციათ ისინი ბურჟუაზიის იარაღად მუშათა კლასში.

3. ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის პროლეტარიატი იდეურად შეიარაღებული იყო ლენინის მიერ შემუშავებული უმნიშვნელოვანესი დებულებებით პროფკავშირთა როლისა და ამოცანების შესახებ.

ლენინმა მკაფიოდ განსაზღვრა თანაფარდობა პროლეტარიატის ბრძოლის ეკონომიურ ფორმასა და პოლიტიკურ ფორმას შორის. მან ცხადყო, რომ მუშათა კლასის ძირეული ამოცანის გადასაწყვეტად — კაპიტალის ძალაუფლების დასამხობად, პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად და სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად — საჭიროა რევოლუციური მარქსისტული პარტია, რომელიც მოწოდებულია ხელმძღვანელობდეს პროლეტარიატის საერთო-კლასობრივ ბრძოლას. ლენინმა ამხილა ბურჟუაზიული ხასიათი მენშევიკური გეზისა პროლეტარიატის პარტიის მიმართ პროფკავშირების „ნეიტრალობის“ შესახებ და მტკიცედ იცავდა მათს გადაქცევას მუშათა კლასის რევოლუციურ მებრძოლ ორგანიზაციებად. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა პროფკავშირების საწარმოო პრინციპის მიხედვით მოწყობის საჭიროებას.

4. რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, სრულიად რუსეთის ოქტომბრის პოლიტიკურ გაფიცვასა და 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაში.

1905-1907 წლებში მრავალი პროფკავშირი აღმოცენდა მოსკოვში, პეტერბურგში, ივანოვო-ვოზნესენსკში, სამარაში, კიევში, ხარკოვში, ლუგანსკში, რიგაში, ვარშავასა და სხვა ქალაქებში. 1907 წლის დასაწყისისათვის რუსეთში 652 პროფკავშირი ითვლებოდა, რომლებიც 245 ათას მუშას აერთიანებდნენ.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ, სტოლიპინის რეაქციის მძიმე პირობებში, მიუხედავად მეფის ხელისუფალთა მხრივ სასტიკი დევნისა და მენშევიკებისა და ესერების გამცემლური, ძირგამმთხრელი მუშაობისა, პროფკავშირები განაგრძობდნენ არსებობას როგორც პროლეტარიატის მებრძოლი ორგანიზაციები. მუშათა მოძრაობის ახალი აღმავლობის წლებში (1910-1914 წწ.) ბოლშევიკებმა დაიპყრეს მუშათა კლასის ყველა ლეგალური ორგანიზაცია (პროფკავშირები, დაზღვევის დაწესებულებები, სახალხო სახლები, კლუბები და ა. შ.) და გადააქციეს ისინი რევოლუციური ბრძოლის დასაყრდენ პუნქტებად. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ცარიზმმა განადგურა მუშათა მასობრივი ორგანიზაციები, და მხოლოდ მცირე რაოდენობა პროფკავშირებისა განაგრძობდა მუშაობას იატაკქვეშეთის პირობებში.

5. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა წინათ არსებული პროფკავშირების აღორძინებისა და ახალი პროფკავშირების შექმნისათვის მთელ რუსეთში, მათ შორის ეროვნული განაპირა მხარეების მუშათა შორის.

1917 წლის მაისისათვის ჩვენს ქვეყანაში უკვე ორი ათასზე მეტი პროფკავშირი იყო, რომლებშიც მილიონნახევრამდე მუშა და მოსამსახურე ირიცხებოდა. მაგრამ მეტწილად ეს იყო ჯერ კიდევ დაქსაქსული ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მუშებს ამქრული ნიშნის მიხედვით აერთიანებდნენ; ბევრი ეს ორგანიზაცია მენშევიკებისა და ესერების გავლენაში იმყოფებოდა.

მასებისათვის ბრძოლაში, რევოლუციის პირველი ეტაპიდან მის მეორე ეტაპზე გადასასვლელად მუშათა კლასის ძალების შემჭიდროებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკური პარტია ცდილობდა გაეძლიერებინა თავისი გავლენა პროფკავშირებში, გარდაექმნა ისინი საწარმოო პრინციპის მიხედვით, ერთიანი ხელმძღვანელი პროფკავშირული ცენტრით. 1917 წლის ივნისში პირველად შეიქმნა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭო.

მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ შექმნა მუშათა კლასის ახალი ორგანიზაცია — საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები. თვითეული მათგანი აერთიანებდა საწარმოს ყველა მუშასა და მოსამსახურეს, მიუხედავად იმისა, თუ რა პროფკავშირს ეკუთვნოდნენ. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წარმოებისადმი მუშათა კონტროლის განხორციელებაში, რვა საათის სამუშაო დღისათვის, ხელფასის გადიდებისათვის, შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, კაპიტალისტთა საბოტაჟის აღკვეთაში, წითელი გვარდიის შექმნაში.

მენშევიკები ყოველნაირად ცდილობდნენ დაეპირდაპირებინათ პროფკავშირები საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისათვის, მაგრამ ბოლშევიკების გავლენით რევოლუციის განვითარების მსვლელობაში სწრაფად მყარდებოდა და მტკიცდებოდა კავშირი ამ ორგანიზაციებს შორის.

6. ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობამ, რომელმაც შეიარაღებული აჯანყების კურსი აიღო, განსაზღვრა საბრძოლო პროგრამა პროფკავშირების და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საქმიანობისა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. შეიარაღებული აჯანყების მომზადების პერიოდში პროფკავშირები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ეხმარებოდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს იარაღის შოვნაში, საწარმოებში შეიარაღებული რაზმების შექმნასა და მუშებისათვის ქუჩის ბრძოლების ტაქტიკის სწავლებაში, მუშათა კლასსა, ჯარისკაცებსა და ღარიბ გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებაში.

პეტროგრადის, მოსკოვის, სამარის, ეკატერინბურგის, ირკუტსკის, ეკატერინოსლავის, ლუგანსკის, ბაკოსა და რუსეთის სხვა ქალაქების პროფკავშირები და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების, მუშათა კლასის ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი იყვნენ.

შეფასებას აძლევდა რა პროფკავშირების როლს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ისეთი დასაყრდენის უქონლად, როგორიც პროფკავშირები არიან, შეუძლებელი იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებაც და მისი შენარჩუნებაც.

II. საბჭოთა პროფკავშირები სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში

7. მას შემდეგ, რაც ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში გადავიდა, პროფკავშირების როლი და ამოცანები ძირეულად შეიცვალა. „პროფკავშირები, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ... წარმოადგენენ მმართველი, გაბატონებული, მთავრობის სათავეში მდგომი კლასის ორგანიზაციას... მაგრამ ეს არ არის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ეს არ არის იძულების ორგანიზაცია, ეს არის აღმზრდელობითი ორგანიზაცია, საქმეში ჩაბმის, სწავლების ორგანიზაცია, ეს არის სკოლა, მართვა-გამგეობის სკოლა, მეურნეობის წარმართვის სკოლა, კომუნიზმის სკოლა“. (თხზ., ტ. 32, გვ. 2).

იმისათვის, რომ გაგვეჩაღებინა ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მასებში, საჭირო იყო ორგანიზაციულად განგვემტკიცებინა პროფკავშირები. მთელ ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა პროფკავშირების გამსხვილება, მათი გაერთიანება საწარმოო პრინციპის მიხედვით.

1918 წლის იანვარში შედგა პროფკავშირთა I სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები გაერთიანებულიყვნენ პროფკავშირებთან და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები გადაქცეულიყვნენ პროფესიული კავშირების პირველადს ორგანოებად საწარმოებში.

8. უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში პროფესიულმა კავშირებმა მთელი თავიანთი საქმიანობა დაუქვემდებარეს იმ ამოცანებს, რომ დაეცვათ რევოლუციის მონაპოვარნი შინაური და გარეშე მტრებისაგან. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შექმნაში, ახორციელებდნენ პროფკავშირულ მობილიზაციებს ფრონტისათვის, აღგენდნენ სასურსათო რაზმებს, რათა გაეგზავნათ სოფლად წითელი არმიისა და სამრეწველო ცენტრების პურით მომარაგებისათვის. ისინი ზრდიდნენ მუშებს რევოლუციის და სოციალისტური სამშობლოს წინაშე მოვალეობისა და მათი ბედისათვის პასუხისმგებლობის შეგნების სულისკვეთებით. პროფკავშირები ეხმარებოდნენ პარტიას განმტკიცებინა მუშათა და გლეხთა კავშირი — საბჭოთა წყობილების საფუძველი.

9. სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრებისა და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ კომუნისტური პარტია დაეხმარა პროფკავშირებს გარდაექმნათ მუშაობა სახალხო მეურნეობის აღდგენის ახალი ამოცანების შესაბამისად. პარტიის X ყრილობამ გაანადგურა ტროცკისტების, „მუშათა ოპოზიციის“ ანარქო-სინდიკალისტური ჯგუფისა და სხვა ანტიპარტიული ელემენტების ცდები დაეპირდაპირებინათ პროფკავშირები პარტიისა და სახელმწიფოსათვის. ყრილობამ შეაჯამა შედეგები დისკუსიისა პროფკავშირების შესახებ და მიიღო ლენინური პლატფორმა პროფკავშირების ამოცანების საკითხზე.

პროფესიული კავშირების შესახებ უმნიშვნელოვანეს საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს კომუნისტური პარტიის XI ყრილობის (1922 წ.) რეზოლუცია პროფკავშირების როლისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, რომელიც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ. „პროფკავშირები, — აღნიშნავს ლენინი, — უნდა გახდნენ უახლოესი და ნამდვილი თანამშრომელი სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელსაც მთელ მის პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობაში ხელმძღვანელობას უწევს მუშათა კლასის შეგნებული ავანგარდი — კომპარტია. პროფკავშირები, როგორც საერთოდ კომუნიზმის სკოლა, კერძოდ უნდა გახდნენ სოციალისტური მრეწველობის (ხოლო შემდეგ თანდათანობით აგრეთვე მიწათმოქმედების) მართვის სკოლა მუშათა მთელი მასისათვის, ხოლო შემდეგ ყველა მშრომელისთვისაც“. (თხზ., ტ. 33, გვ. 214-215).

სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში პროფკავშირებმა გააძლიერეს თავიანთი კავშირი მასებთან, რიცხვობრივად გაიზარდნენ და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ. ამ წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის ისეთ ფორმებს, როგორიც არის საწარმოო თათბირები და კომისიები, მუშების მონაწილეობა სატარიფო მუშაობის საკითხების გადაწყვეტაში, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება და ა. შ. პროფკავშირების აქტივობამ შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის წარმატებით აღდგენას.

10. საბჭოთა პროფკავშირები დიდ, მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდნენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ცდილობენ რა მიაღწიონ ხუთწლიანი გეგმების წარმატებით შესრულებას, პროფკავშირები აწყობენ მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებასა და დამკვრელობას, რაზმავენ მშრომელებს მომჭირნეობის რეჟიმისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის საბრძოლველად. მშრომელთა მასებში დიდი აღმავლობა გამოიწვია XVI პარტიული კონფერენციის (1929 წ.) მიმართვამ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

პროფკავშირებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში, მათ მოაწყეს საწარმოთა შეფობა კოლმეურნეობებისადმი, ენერგიულად მონაწილეობდნენ 25 ათასი მოწინავე მუშის შერჩევასა და საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზატორებად სოფლად გაგზავნაში, ხელს უწყობდნენ სოფლის მშრომელებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მოწყობას, რითაც განამტკიცებდნენ მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან.

ეწეოდნენ რა თავიანთი მუშაობის გარდაქმნას იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახა პარტიის XVI ყრილობამ (1930 წ.) სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და კაპიტალისტურ ელემენტებზე მთელი ფრონტით სოციალიზმის შეტევის პერიოდში, პროფკავშირებმა ამაღლეს თავიანთი როლი სოციალისტურ მშენებლობაში, გააძლიერეს ზრუნვა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, მათი მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. პროფკავშირებმა პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით მოახდინეს ლიკვიდაცია მემარჯვენე ელემენტების ცდებისა გაეტარებინათ პროფმოძრაობაში ოპორტუნისტული ხაზი, დაემახინჯებინათ ლენინური მოძღვრება პროფკავშირების შესახებ, ჩამოშორებინათ ისინი სოციალიზმის მშენებლობის ძირეული ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობისაგან, დაეპირდაპირებინათ პროფკავშირები პარტიისა და სახელმწიფოსათვის.

თავიანთი საქმიანობის გაფართოების ახალი შესაძლებლობანი პროფკავშირებმა მიიღეს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ გადაეცათ შრომის სახალხო კომისარიატის ფუნქციები შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის დარგში, აგრეთვე მუშურ-გლეხური ინსპექციის ძირეული ორგანოების უფლებები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისადმი კონტროლის დარგში.

ახორციელებდნენ რა სოციალიზმის მშენებლობის პროგრამას, რომელიც შემუშავებულია კომუნისტური პარტიის მიერ, სძლევდნენ რა ბევრ სიძნელესა და დაბრკოლებას, სსრ კავშირის მშრომელებმა წარსულში ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ გადააქციეს. ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული ექსპლოატატორული კლასები, სამუდამოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ანტაგონისტური ეროვნული მტრობა და სოციალიზმი. საბჭოთა ხალხის ამ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებში მცირე წვლილი როდი აქვთ შეტანილი პროფესიულ კავშირებსაც.

11. დიდი სამამულო ომის წლებში სსრ კავშირის პროფესიული კავშირები დიდ ორგანიზატორულ და მზრდელობითს მუშაობას ეწეოდნენ მასებში, მათ ფართო თავიანთი საქმიანობა დაუმორჩილეს იმას, რომ ნებისმიერ ინიციელებინათ საბრძოლო ლოზუნგი „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის“. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მრეწველობის გადატანაში ჩვენი ქვეყნის შორეულ რაიონებში და ახალი პირობების შესაბამისად საწარმოთა მუშაობის ორგანიზაციაში, მუშათა კლასისა და საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითს ღონისძიებებს წარმართავდნენ თავდადებული შრომისაკენ ფაშისტურ პყრობთა განადგურებისათვის. პროფკავშირები აშენებენ ჰოსპიტლებს, ამზადებდნენ სამედიცინო დებს, სანრაზმელებს, მონაწილეობას იღებდნენ მოთხილვრეთა და სნაიპერთა მომზადებაში, ეწეოდნენ მუშაობას სამხედრო ნაწილებზე კულტურული შეფობის დარგში, აგროვებდნენ თბილ ნივთებს საბჭოთა არმიისათვის, სახსრებს ტანკებისა და თვითმფრინავებისასაგებად.

სამხედრო პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მუშათა და მოსამსახურეთა ძალღონის მობილიზებასთან ერთად პროფესიული კავშირები არ ანებებენ ზრუნვას მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურებისათვის, ყოველივე შესაძლებელს აკეთებდნენ, რომ დაეკმაყოფილებინათ მათი საარსებო საჭიროებანი ყოფაცხოვრებასა და წარმოებაში. დიდი ყურადღება ექცეოდა სამხედრო-სამსახურეთა ოჯახებს, ომის ინვალიდებს, მუშათა-მოსამსახურეთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას, დივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის გაშენებას.

მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის და ჩვენი სამშობლოს მტრებისადმი სიძულვილის აღზრდა, სოციალისტური სამშობლოს დაცვა, გამარჯვებისათვის დადებული შრომის კეთილშობილური იდეები განსაკუთრებულ ვრავდნენ პროფკავშირთა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ძირითად ნაარსს.

12. ომისშემდგომ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში უზარმაზარი მასშტაბით გაჩაღდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, რომელშიც მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია უმაგალითო ინიციატივასა და აქტივობას იჩენენ.

პროფესიული კავშირები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა ფართო მასების სოციალისტურ შეჯიბრებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის ახალი აღმავლობისათვის. საბჭოთა ხალხის გმირული დაძაბული შრომით განსაკუთრებით მოკლე ხანში შეუშებულ იქნა მძიმე ჭრილობები, რომლებიც ომმა ჩვენს ქვეყანას მიაყენა, და შორს წაიწია წინ მთელ სახალხო მეურნეობამ. 1940 წელთან შედარებით მრეწველო პროდუქციის მოცულობა 1957 წლისათვის თითქმის ოთხჯერ გაიზარდა. პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების დარგში პარტიისა და მთავრობის გრანდიოზულ ღონისძიებათა განხორციელებაში, იჩენენ მზრუნველობას მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და ჯანმრთელობის ორგანიზაციისათვის. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით მნიშვნელოვნად გადიდდა ნათესი ფართობები, გაიზარდა პურისა და ტექნიკური კულტურების მოსავალი. ჩვენს ქვეყანაში იმატა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებამ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურული დონე.

საბჭოთა პროფკავშირები ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ სამეურნეო მშენებლობაში, პოლიტიკური-სამეურნეო ამოცანების გადაჭრაში, სახალხო მეურნეობის მართვისათვის მშრომელთა მიზიდვაში. პროფკავშირთა ინიციატივით აღმოცენდნენ და ფართო გამოყენება ჰპოვეს წარმოების მართვაში მასების მონაწილეობის ისეთმა ფორმებმა, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელი ბრიგადების შექმნა, სამეურნეო აქტივები, საწარმოო თათბირები, დელეგატთა კრებები, ტექნიკური კონფერენციები, წარმოების მოწინავეთა თათბირები, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება და სხვ.

III. პროფკავშირების როლი კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში

13. საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია აღაფრთოვანებს და ხელმძღვანელობს, მტკიცე რწმენით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ რაც უფრო ფართოა ჩვენი მშენებლობის გაქანება და რაც უფრო რთულია მისი ამოცანები, მშრომელთა მით უფრო მეტი მასები უნდა იქნან ჩაბმული შემოქმედებითს მუშაობაში. ამიტომ არის, რომ რაც უფრო წინ მიიწევს ჩვენი ქვეყანა კომუნიზმისაკენ, არათუ არ მცირდება, არამედ, პირიქით, იზრდება მნიშვნელობა პროფკავშირებისა, რომლებიც თითქმის ყველა მუშასა და მოსამსახურეს აერთიანებენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, მიგვითითა რა პროფკავშირთა მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე, აღნიშნა, რომ საჭიროა გამოცოცხლდეს პროფკავშირთა მთელი საქმიანობა, გაძლიერდეს მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რათა პროფკავშირები ნამდვილად წარმოადგენდნენ მართვისა და მეურნეობის გაძღოლის ლენინურ სკოლას, კომუნიზმის სკოლას მილიონნიანი მასებისათვის.

14. XX ყრილობის შემდეგ პროფკავშირებმა რამდენადმე გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა. მათ უფრო აქტიურად მოჰკიდეს ხელი წარმოების და შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხებს, ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებას, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობას. მათი მონაწილეობით მიღებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ მოწესრიგდეს ხელფასი და შრომის ნორმირება მშენებლობაში, შავ მეტალურგიაში, დონბასის შახტებში და მანქანათმშენებელი ქარხნების ჯგუფში.

პროფესიული კავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, კერძოდ, პენსიებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების, მცირეხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხელფასის მომატების, უქმე და გამოსალელი დღეების წინ სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების და მთელ რიგ სხვა დარგებში. პროფკავშირთა წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ახალი დებულება საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ. პროფკავშირული ორგანიზაციები ახლა უფრო მწვავედ და პრინციპულად აყენებენ სამეურნეო ორგანოთა წინაშე მშრომელთა შრომის პირობების, ყოფაცხოვრებისა, კულტურული მომსახურების გაუმჯობესების კითხებს და ცდილობენ მიაღწიონ მათს გადაწყვეტას.

მაგრამ პროფკავშირთა მუშაობაში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი. საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ პროფესიულ კავშირებს, ვალდებულს ხდიან მათ გაძლიერონ თავიანთი როლი სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, წარმოების მართვისათვის მშრომელთა მიზიდვის საქმეში.

15. პროფკავშირთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა აქტიურად იბრძოლონ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის, წარმოების შემდგომი ზრდის ძირითადი პირობის — შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. პროფკავშირებს ეკისრებათ მოვალეობა კიდევ უფრო ფართოდ განავითარონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც კომუნისტურ მშენებლობის ნაცადი მეთოდია, გამოაშკარაონ და მოფხვრან ნაკლოვანებანი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში, ეცადონ მიაღწიონ სოციალისტური ეკონომიკის განუწყვეტელ აღმავლობას.

სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ლენინური პრინციპები — საჯაროობა, შრომის შედეგ

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების ორმოცდაათი წელი

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თეზისები

(დასასრული)

შედარებითობა და მოწინავე გამოცდილების გავრცელება შეჯიბრებისადმი ნამდვილი ხელმძღვანელობის საფუძველია. პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მუშებს შეექმნეს პირობები მათ მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, მტკიცედ უნდა ებრძოდნენ გაცდენებს, იერიშობანას, მოუწესრიგებლობას წარმოებაში. შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა შეუძლებელია, თუ არ ვეცდებით მივაღწიოთ შრომის, წარმოებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების უკეთეს ორგანიზაციას, საწარმოების რიტმულ მუშაობას.

შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის ამოცანა პროფკავშირებისაგან მოითხოვს მტკიცე ბრძოლას ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, წარმოების ავტომატიზაციისა და სპეციალიზაციისათვის, მუშათა კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის.

16. საჭიროა გაუმჯობესდეს პროფკავშირთა მუშაობა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მასობრივი მოძრაობის ორგანიზაციისათვის, მოძრაობისა, რომელიც წარმოების განვითარებასა და სრულყოფაში მშრომელთა მონაწილეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი რაციონალიზატორულ წინადადებათა თავის დროზე განხილვისა და დანერგვისადმი, გადაჭრით აღმოიფხვრას ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება ამ დარგში. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ რაციონალიზაციის საკითხები სწრაფად, ოპერატიულად წყდებოდეს ადგილზე, საწარმოში, ხოლო კომპლექსური ბრიგადების შექმნის არსებული გამოცდილება და ნოვატორ-მუშათა და ინჟინერთა თანამშრომლობის სხვა ფორმები რაც შეიძლება ფართოდ ვრცელდებოდეს. მშრომელთა ტექნიკური შემოქმედების განვითარებისათვის დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პროფკავშირთა სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს, რომელთა მუშაობა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველა ღონისძიებით უნდა გააქტიურონ.

17. კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, მშრომელთა საარსებო ინტერესები მოითხოვენ შრომის ნორმირებისა და ხელფასის ორგანიზაციის ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრას. თავისი შრომის შედეგებით მუშაკთა პირადი მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების ზრდის და ამ საფუძველზე მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

პროფკავშირები მოწოდებული არიან სამეურნეო ორგანოებთან ერთად და მუშათა აქტიური მონაწილეობით უზრუნველყონ გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ფართოდ დანერგვა წარმოებაში, გაადიდონ სატარიფო განაკვეთების წილი მუშათა ხელფასში, უფრო სრულად გამოიყენონ პრემირება როგორც საშუალება წახალისებისა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

18. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ძირითადი პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი, ესე იგი ქვეყნის ეკონომიკისადმი ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის შეხამება ადგილობრივი ორგანიზაციების და მილიონობით მშრომელის უაღრესად ფართო ინიციატივასთან.

სამეურნეო მშენებლობის საკითხების გადაჭრაში მასების საწარმოო გამოცდილების გამოყენება საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად ავამოქმედოთ წარმოების შინაგანი რეზერვები და გავაუმჯობესოთ სახელმწიფოებრივი მართვისა და დაგეგმვის საქმე. ამჟამად მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვ. ი. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ საჭიროა გავაძლიეროთ პროფკავშირების მონაწილეობა მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის ყველა ორგანოში.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სრულად უნდა გამოიყენონ წარმოების მართვაში ყოველდღიური მონაწილეობისათვის მშრომელთა ფართო მასების მიზიდვის ისეთი ფორმები, როგორიც არის მუშათა და მოსამსახურეთა კრებები, საწარმოო თათბირები, სამეურნეო აქტივები, წარმოების მოწინავეთა თათბირები, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობა, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი.

საჭიროა მუშებისა და მოსამსახურეების განსახილველად გამოტანილ იქნას ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიც არის წარმოების გეგმების შემუშავება და შესრულება, შრომის ნორმირება და ორგანიზაცია, ხელფასი, შრომისა და უსაშიშრობის ტექნიკის დაცვა, რაციონალიზაცია და გამომგონებლობა, მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება. პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელები სისტემატურად უნდა გამოდიოდნენ კრებებსა და საწარმოო თათბირებზე ანგარიშით საწარმოთა საწარმოო მუშაობის შედეგებისა და მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების დარგში ღონისძიებათა შესრულების შესახებ.

ყველა გეგმა, როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიული, საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმით დაწყებული და სახალხო-სამეურნეო გეგმით დამთავრებული, უნდა მუშავდებოდეს მუშათა ფართო მასების და პროფკავშირული ორგანიზაციების აუცილებელი მონაწილეობით. ხელფასის, გამომუშავების ნორმების შეცვლის, შრომის დაცვისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს სამეურნეო და სახელმწიფო ორგანოები უნდა წყვეტდნენ პროფკავშირების მონაწილეობით.

19. იმ მიზნით, რომ უფრო ფართოდ მოვიზიდოთ მშრომელები სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში და წარმოების მართვაში მონაწილეობისათვის, აუცილებელია გავაუმჯობესოთ მუშაობა კოლექტიური ხელშეკრულებების დადებისა და შესრულების დარგში, ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ მათი ქმედითობა. საჭიროა გავაძლიეროთ ორივე მხარის პასუხისმგებლობა კოლექტიურ ხელშეკრულებათა უეჭველად შესრულებისათვის. პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველდღიურად, და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, ამოწმებდნენ ორმხრივ ვალდებულებათა შესრულებას. ისეთ საკითხებს, რომლებიც შეეხება მშრომელთა შრომის პირობების, სანიტარო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, უპირველეს ყოვლისა ადგილზე უნდა წყვეტდნენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და საწარმოთა ხელმძღვანელები.

20. ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში პროფკავშირები ვალდებული არიან დაიცვან მშრომელთა ინტერესები, ვინაიდან შესაძლოა სამეურნეო ორგანოების შეცდომები და გადაჭარბებანი, რომლებიც სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული დამახინჯებებიდან გამომდინარეობენ.

„...კავშირებმა დაკარგეს ისეთი საფუძველი, როგორიცაა **კლასობრივი** ეკონომიური ბრძოლა, მაგრამ ჯერ სრულიადაც არ დაუკარგავთ და, სამწუხაროდ, მრავალი წლის განმავლობაში ვერც დაკარგავენ ისეთ საფუძველს, როგორიცაა **არაკლასობრივი** „ეკონომიური ბრძოლა“ იმ აზრით, რომ მათ უნდა ებრძოლონ საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებას, იმ აზრით, რომ მათ უნდა დაიცვან მშრომელთა მასის მატერიალური და სულიერი ინტერესები იმ გზებითა და საშუალებებით, რაც მიუწვდომელია ამ აპარატისათვის“. (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32. გვ. 111).

ლენინის ეს მითითებანი მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ ძალას თანამედროვე პირობებშიც. ყოველდღიური ზრუნვა მუშებისა და მოსამსახურეების კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისათვის, მათი მატერიალური ინტერესების დაცვა პროფკავშირთა საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა.

21. სოციალისტური ეკონომიკის ზრდა მტკიცე საფუძველს ქმნის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობისათვის. საბჭოთა პროფკავშირების სისხლხორცეული საქმეა ცდილობდნენ მიაღწიონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შემდგომ გაფართოებას, მტკიცედ ახორციელებდნენ თავიანთ უფლებას — საზოგადოებრივი კონტროლი გაუწიონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებას, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობას, მშრომელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციას. პროფკავშირული ორგანიზაციები მხარს უნდა უჭერდნენ და ავითარებდნენ მშრომელთა ინიციატივას ბინების მშენებლობისათვის, სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოებისათვის, მაღაზიებისა და სასადილოების ქსელის გაფართოებისათვის, ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის ადგილობრივი დამატებითი რესურსების გამონახვისა და გამოყენების დარგში.

22. პროფკავშირების ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს ისეთი საკითხები, როგორიც არის წარმოებაში შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება და გაჯანსაღება, საბჭოთა შრომითი კანონმდებლობის ზუსტად დაცვა. საჭიროა მუშებისა და მოსამსახურეების უფრო ფართოდ ჩაბმა ისეთ საქმეში, როგორიც არის კონტროლი უსაშიშრობის ტექნიკის წესებისა და ნორმების და შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისადმი, სამუშაო დროისა და დასვენების დროის, შვებულებების, მოზარდთა, ორსულ ქალთა და ჩვილბავშვიან დედათა შრომის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებისადმი, შეურიგებელი ბრძოლა უკანონობის ყოველგვარი გამოვლინებისა და მშრომელთა უფლებების შელახვის წინააღმდეგ.

მშრომელთა დაავადებისა და ტრავმატიზმის შემდგომი შემცირებისათვის ბრძოლისას პროფკავშირები უნდა აუმჯობესებდნენ სოციალური დაზღვევის, დახმარებებისა და პენსიების დანიშვნისა და ანაზღაურების საქმეს, ცდილობდნენ მიაღწიონ სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის სანიმუშოდ დაყენებას.

23. თანამედროვე პირობებში, როდესაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის გრანდიოზულ პროგრამას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პროფკავშირთა აღმზრდელობითს მუშაობას. ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ლიკვიდირებული არ არის კაპიტალიზმის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში. კომუნიზმისადმი მტრულად განწყობილი ძალები საზღვარგარეთიდან აძლიერებენ ცდებს გაავრცელონ ჩვენს წრეში უცხო შეხედულებანი და განწყობილებანი, ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მათ შორის პროფკავშირებსაც, პარტია ამოცანად უსახავს მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა.

პროფკავშირების აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ ფართოდ განუმარტონ მასებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, მეურნეობის სოციალისტური სისტემის გადამწყვეტი უპირატესობანი კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით. საჭიროა გამოვიყენოთ პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი ქსელი, კულტურულ-მასობრივი მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება იმისათვის, რომ მშრომელები აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, რომ მუშებისა და მოსამსახურეების შემოქმედებითი ძალები დავრაზმოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად. საჭიროა გავაძლიეროთ საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელება, ვებრძოლოთ ცრურწმენებსა და რელიგიურ ცრუმორწმუნეობას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევას.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდობის აღზრდას ჩვენი ქვეყნის გმირი მუშათა კლასის სახელოვან ტრადიციებზე, ჩავუნერგოთ მას საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, სიყვარული შრომისა და თავისი სამშობლოსადმი. ახალგაზრდობა აქტიურად უნდა ჩავაბათ საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდა მუშებს შევუქმნათ ყველა პირობა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სამუშაო და უმაღლესი განათლების მიღებისათვის. დახმარება გავუწიოთ მუშებსა და მოსამსახურეებს ბავშვების აღზრდაში, ვიზრუნოთ მოსწავლეთა კულტურული მომსახურებისათვის, ხელი შეუწყოთ სკოლის პოლიტექნიზაციას.

პროფკავშირებმა ძირეულად უნდა გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა ფიზკულტურული მოძრაობისადმი, სპორტისა და ტურიზმისადმი, რომლებიც საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის, ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომისა და თავდაცვისათვის მათი მომზადების დიდმნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენენ; უზრუნველყონ მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის შემდგომი განვითარება, ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის ამაღლება.

24. ორგანიზაციული გარდაქმნა, რასაც პროფკავშირები ახორციელებენ, საშუალებას მისცემს მათ უფრო სრულად გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის მართვის ახალი სტრუქტურის ხასიათი და თავისებურებანი, უზრუნველყონ მუშების მეტი გავლენა სამეურნეო ორგანოების საქმიანობაზე, ხელი შეუწყონ მასების შრომითი აქტივობის ზრდას.

ამავე დროს გარდაქმნა ხელს შეუწყობს მათ მოსპონ ზედმეტი შუალედი რგოლები პროფკავშირების სტრუქტურაში, გადაიტანონ ოპერატიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი პირველად ორგანიზაციებთან უფრო ახლო, ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში, აამაღლონ პროფკავშირთა საბჭოების როლი.

პროფესიული კავშირები შეძლებენ წარმატებით გადაჭრან მათ წინაშე მდგომი ამოცანები მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი გადაჭრით აამაღლებენ თავიდან ბოლომდე ყველა თავიანთი ორგანიზაციის, განსაკუთრებით პირველადი ორგანიზაციების ავტორიტეტსა და ბრძოლისუნარიანობას, პირველადი ორგანიზაციებისა, რომლებიც პროფკავშირების საფუძველს წარმოადგენენ, თუ მკაცრად დაიცავენ პროფკავშირულ დემოკრატიას და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპს, გაბედულად განვითარებენ თვითკრიტიკასა და კრიტიკას, განახორციელებენ კონტროლსა და შესრულების შემოწმებას, თავიანთ მუშაობას ააგებენ მასების თვითმოქმედების საფუძველზე, მუდმივად გაუუმჯობესებენ თავიანთი ორგანიზატორული და ალმზრდელობითი საქმიანობის მეთოდებს.

საჭიროა მუდამ გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ პროფკავშირები უნდა იყვნენ მშენებლები ახალი ცხოვრებისა, ალმზრდელები ახალი მილიონებისა და ათეული მილიონებისა, რომლებიც თავიანთი გამოცდილებით ისწავლიან სახელმწიფოს მართვას, წარმოების მართვას.

25. ახალი ამოცანების შესაბამისად პროფკავშირების მუშაობის დონის ამაღლება მოითხოვს კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმის სერიოზულ გაუმჯობესებას. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო გაბედულად დავაწინაურთ პროფკავშირულ ორგანოებში ენერგიული და ინიციატივიანი მუშები წარმოებიდან, ქალები და ახალგაზრდობა, რომლებმაც პრაქტიკულ მუშაობაში თავი გამოიჩინეს როგორც უნარიანმა ორგანიზატორებმა, დაამსახურეს მასების ნდობა და შესწევთ უნარი განახორციელონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა. საჭიროა გავაძლიეროთ პროფკავშირული კადრების პოლიტიკური გამოწრთობა და მარქსისტულ-ლენინური შეიარაღება, ვიზრუნოთ მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

პროფკავშირული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ პროფკავშირების ყოველგვარი საქმიანობის წარმატების ყველაზე ძირითადი პირობაა მასასთან კავშირი. ყოველი პროფკავშირული ხელმძღვანელი „...უნდა ტრიალებდეს მუშათა ცხოვრების შუაგულში, უნდა იცნობდეს მას მთელი სიგრძე-სიგანით, ...უნდა შესწევდეს უნარი უტყუარად გაარკვიოს ყოველ საკითხსა და ყოველ მომენტში მასის განწყობილება, მისი ნამდვილი მისწრაფებანი, მოთხოვნილებანი, აზრი, შესწევდეს უნარი, ოდნავი ყალბი იდეალიზაციის გარეშე, გაარკვიოს მისი შეგნებულობის დონე და ამა თუ იმ ცრურწმენის და ძველი დროის ნაშთის გავლენის ძალა, შესწევდეს უნარი მოიპოვოს მასის უსაზღვრო ნდობა მისდამი ამხანაგური დამოკიდებულებით, მის საჭიროებათა მზრუნველობით დაკმაყოფილებით“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 217).

26. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა პროფკავშირები მუდამ იდგნენ და დგანან მშვიდობის საქმისათვის, საერთაშორისო მუშათა და პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. პროფესიულ კავშირთა ჯერ კიდევ I სრულიად რუსეთის ყრილობამ გამოაცხადა, რომ „რუსეთის პროფესიული მოძრაობა ვერ შეასრულებს თავის დიად ამოცანებს, თუ უაღრესად მჭიდრო კავშირი არ დაამყარა საერთაშორისო პროფესიულ მოძრაობასთან“.

საბჭოთა პროფკავშირების და საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების პროფკავშირების ღონისძიებათა შედეგად ფაშიზმთან ბრძოლაში შეიქმნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, რომელიც მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების ნამდვილი გამომხატველია. მის რიგებში ახლა 88 მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურეა. სსრ კავშირის და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის პროფკავშირებს შორის ურყევი მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის ურთიერთობა დამყარდა. საბჭოთა პროფკავშირები საზღვარგარეთის მეტი წილი ქვეყნების პროფკავშირებთან თანამშრომლობენ და მათთან ერთად იბრძვიან საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობისათვის.

საბჭოთა პროფკავშირების წმიდა მოვალეობაა კვლავაც მაღლა ეჭიროთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, როგორც ყოველთვის, იყვნენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისათვის კეთილშობილური ბრძოლის ავანგარდში.

• • •

ჩვენი ქვეყნის პროფკავშირებმა ნახევარსაუკუნოვანი სახელოვანი გზა განვლეს. მათი იდეური ხელმძღვანელი და შთამაგონებელი იყო და არის საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტია. ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნით, კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა და ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც ასახავს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს, შეესაბამება მშრომელთა ძირეულ ინტერესებს. კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყნის ხალხები მიიყვანა მემამულეებსა და კაპიტალისტებზე გამარჯვებამდე, მუშათა კლასის დიქტატურამდე, სოციალიზმის აშენებამდე და მიჰყავს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა გამსჭვალულია ხალხისადმი, მშრომელი მასების რევოლუციური ენერგიისადმი ღრმა რწმენით. საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა პარტიის ურყევი კანონია. მუშათა და გლეხთა საქმისათვის, სოციალიზმისათვის თავდადებული ბრძოლით კომუნისტურმა პარტიამ მშრომელი მასების უსაზღვრო სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

პარტია მუდამ ეყრდნობოდა პროფკავშირებს, მათი დახმარებით აჰყავდა მშრომელთა მილიონები ახალი საზოგადოების შეგნებულ მშენებელთა დონემდე. პარტიაში, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტში პროფკავშირები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ხედავენ თავიანთ ბრძენ კოლექტიურ ბელადსა და ორგანიზატორს. პარტიის ხელმძღვანელობაში, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებისადმი ერთგულებაშია საბჭოთა პროფკავშირების ძალის წყარო.

კომუნისტების სახელოვანი პარტიის გარშემო მშრომელთა მასების დარაზმვით სსრ კავშირის პროფკავშირები გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

გავაუმჯობესოთ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში ქარელის რაიონის ბევრმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ისახელა თავი. ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში კომკავშირელები და ახალგაზრდები ხილის უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან. მოწინავე კომკავშირელებმა ა. მექერიშვილმა და ნ. გოგიაშვილმა თავდადებით იმუშავეს პირუტყვის საკვების დამზადების გეგმის შესრულებისათვის, რისთვისაც დაჯილდოებული არიან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საგზურებით.

გასულ წელს ქვემოხვედურეთელმა კომკავშირელებმა ს. კოჩიაშვილმა და ვ. ბერუაშვილმა ორმაგად შეასრულეს ჭარხლის მოსავლიანობის გეგმა, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელებით და სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საგზურებით. მსგავსი ფაქტების მოყვანა შეიძლება სხვა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდანაც. ამ კომკავშირული ორგანიზაციების წარმატება იმით აიხსნება, რომ მათ ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ყველგან როდი იჩენენ სათანადო ზრუნვას კომკავშირული მუშაობისადმი. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში უყურადღებოდ არის მიტოვებული ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა. ზოგან კომკავშირული ორგანიზაციები მცირერიცხოვანი არიან, ისინი სათანადო ინიციატივას ვერ იჩენენ კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობაში. ბევრი კომკავშირელი თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას, ეწევა ფუქსავატურ ცხოვრებას. არის ხულიგნობისა და ამორალური საქციელის გამოვლინების ფაქტებიც.

სოფელ ატოცის კოლმეურნეობა რაიონში ყველაზე ჩამორჩენილია. აქ არ შეუსრულებიათ საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა, გაზაფხულის ქერი დათესეს 3 ჰექტარი ნაცვლად 22 ჰექტარისა, ხოლო გაზაფხულის ხორბალი 31 ჰექტარი ნაცვლად 88 ჰექტარისა. სრულიად ჩაშალეს კარტოფილის თესვის დავალება. არ სრულდება პირუტყვის წველადობის გეგმები. 229 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან წელს საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა არ მიუღია 70 კოლმეურნეს, მათ შორის 20 ახალგაზრდას. სამინდის პირველი თოხნა სანახევროდაც არ არის დამთავრებული.

ატოცის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია 13 კომკავშირელს აერთიანებს. მაგრამ კომკავშირელთა უმრავლესობას მცირე რაოდენობით აქვს გამომუშავებული შრომადღეები. კომკავშირული ორგანიზაცია განზე უდგას სოფლის ახალგაზრდობას, მასთან არავითარ აღმზრდელობითს მუშაობას არ ეწევა. ატოცის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი გ. როსტომოვი) კი ვერ აჩენენ კომკავშირული ორგანიზაციის ნაკლოვანებებს. მას წელს ერთხელაც არ უმსჯელია კომკავშირული მუშაობის საკითხებზე.

პარტიულ ხელმძღვანელობას მოკლებულია სოფელ სანებლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია. აქ პარტიული ორგანიზაცია (მდივანი დ. ქობესაშვილი) სრულებით არ განიხილავს კომკავშირული მუშაობის საკითხებს. ახალგაზრდობასთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა თავმინებებულია. ამიტომ ხაშუალო განათლების მქონე ბევრი ახალგაზრდა საზოგადოებრივ შრომაში არ არის ჩაბმული. ეს დიდ გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობაზე. კოლმეურნეობაში 70 ჰექტარი სიმინდია დასარეველიანებული.

ამჟამად პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ღვიძლ საქმეს წარმოადგენს თავთავიანი კულტურების მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება, მაგრამ ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხი მხედველობიდან გამორჩა როგორც კოლმეურნეობის პარტიულ, ისე კომკავშირულ ორგანიზაციას. მალე კოლმეურნეობაში მასობრივად უნდა შეუდგნენ მკას, მაგრამ მოსავლის აღებისათვის მოსამზადებლად აქ ჯერჯერობით არაფერი არ არის გაკეთებული. მოსაწყობია კალო, ჩატარებული არ არის საწყობების რემონტი და დეზინფექცია, შესაკეთებელია ურმები და წვრილმანი ინვენტარი.

პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამბ. ქობესაშვილი რომ ფორმალურად ეკიდება კომკავშირისადმი ხელმძღვანელობას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი ფიქრით კომკავშირულ ორგანიზაციაში მხოლოდ სამი წევრია, ნამდვილად კი კომკავშირელთა რიცხვი 11 კაცს შეადგენს.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია დრო და დრო განიხილავს კომკავშირული მუშაობის საკითხებს, მაგრამ ფორმალურად, ზერელედ, ისე, რომ ღრმად არ სწავლობს საკითხს. მიღებული გადაწყვეტილებებიც ზოგადი ხასიათისაა. ასე იქცევა, მაგალითად, სოფელ ავლევის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია (მდივანი გ. თედეშვილი). 20 თებერვალს პარტიულ კრებაზე განიხილეს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი და მიიღეს სათანადო დადგენილება. რა გაკეთდა ამ დადგენილების მიღების შემდეგ? თითქმის არაფერი! კომკავშირული ორგანიზაცია კვლავ სუსტად მუშაობს.

კარგი საქმე გააკეთა პარტიის ქარელის რაიკომმა იმით, რომ კომკავშირის რაიკომთან ერთად 25 თებერვალს მოიწვია რაიონის მოწინავე ახალგაზრდების შეკრება. შეკრებაზე განხილულ იქნა გასული წლის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები. ამავე შეკრებაზე კომკავშირის რაიკომის სიგელები და ფულადი ჯილდოები გადაეცა 147 მოწინავე ახალგაზრდას, აგრეთვე მიღებულ იქნა მიმართვა რაიონის ახალგაზრდობისადმი — ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება 1957 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლის მისაღებად. ამის შემდეგ მარტში პარტიის ქარელის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი კომკავშირისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობისა და დახმარების შესახებ. სამწუხაროდ, ბიუროს ეს დადგენილება ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ახლაც არა აქვთ მიღებული და განხილული.

კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისადმი სწორი ხელმძღვანელობა ნიშნავს დავრაზმოთ ახალგაზრდობის ძალები პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საბრძოლველად. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი, გვასწავლიდა დიდი ლენინი, უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობას გაუწევს დახმარებას, გამოიჩენს ინიციატივას, თაოსნობას.

კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ სწორად მოვაწყოთ კომკავშირელების, მთელი ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა. პარტიის ქარელის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გაძლიერონ ყურადღება კომკავშირული მუშაობის საკითხებისადმი, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული კომკავშირული ორგანიზაცია ცხოვრობდეს სისხლსავსე, შინაარსიანი ცხოვრებით.

ვ. ბურგენიძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ჩინეთის პრესა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკეს ხელმოწერის შესახებ

პეკინი, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა შინაარსი საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ.

„ორივე მხარემ. — წერს სათაურში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ჟენმინიბაო", — განაცხადა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აკლავიც განამტკიცონ თანამშრომლობა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს შორის მიღწეულია განხილულ საკითხებზე შეხედულებათა სრული ერთიანობა".

„საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებს, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „გუნჟენჟიბაო", — მიაჩნიათ, რომ შეიარაღებას საყოველთაო შემცირების საკითხის გადაწყვეტა აღარ შეიძლება".

სხვა გაზეთები სათაურებში აღნიშნავენ, რომ საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების მეგობრობისა და ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

ცნობა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკეს ხელმოწერის შესახებ და მისი შინაარსი არაერთხელ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა რადიოსადგურმა.

„სრული ერთსულოვნების აზმოსფეროში"

პოლონეთის პრესა ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა დელეგაციის ყოფნის შესახებ

ვარშავა, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა კომუნიკე ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ, აგრეთვე ცხობა მოსკოვში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეგობრობის მიტინგის შესახებ.

კომენტარს უკეთებს რა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის დელეგაციის ყოფნის შედეგებს, გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ" დღეს წერს:

ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსათხოვარი გამოსვლა ჩეხოსლოვაკიაში და საბოლოო კომუნიკე ადასტურებენ, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება სრული ერთსულოვნების ატმოსფეროში მიმდინარეობდა და დამთავრდა.

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში, განაგრძობს „ტრიბუნა ლიუდუ", დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთიანობის განმტკიცებისათვის, რაც შეესაბამება პოლონეთის უმაღლეს ინტერესებს. პოლონეთს განსაკუთრებით აინტერესებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა პოლონეთის ბუნებრივი მოკავშირეები არიან იმ საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და მილიტარისტული წრეები წარმოადგენენ. ეს ფაქტი ადასტურებს იმ მნიშვნელობას, რომელიც ვარშავის ხელშეკრულებას აქვს სოციალისტური ქვეყნების უშიშროებისათვის.

„ტრიბუნა ლიუდუ" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკეს მიზანია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის განმტკიცება განურჩევლად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ ატომური იარაღის გამოცდას

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკდესი). დღეს ატომის პოლიგონზე ნევადის შტატში მოხდა ატომური დანადგარის ახალი აფეთქება.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანების ორგანიზაციისა და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ვეტერანთა ორგანიზაციის სახელით ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი

ბელგრადი, 16 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა ორგანიზაციის წარმომადგენლები და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის მებრძოლთა კავშირის წარმომადგენლები დელეგაციის ყოფნის დროს 30 ივნისიდან 15 ივლისამდე შეხვედრებისა და საუბრების დროს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ომის ვეტერანებს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება და განვითარება.

ორი სოციალისტური ქვეყნის ომის ვეტერანთა წარმომადგენლებმა, ქვეყნებისა, რომელთა ხალხებმა წარსულ ომში უმაგალითო ტანჯვა გამოცადეს და უდიდესი მსხვერპლი გაიღეს ფაშისტ აგრესორებზე თავისუფლებისმოყვარე ხალხთა გამარჯვებისათვის ბრძოლაში, და რომლებსაც საერთაშორისო დაძაბულობის განუწყვეტელი შენელება, თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება და მთელ მსოფლიოში მშვიდობის პოზიციების განმტკიცება მიაჩნიათ მათს ქვეყნებში სოციალიზმის შემდგომი აყვავებისა და მთელი კაცობრიობის პროგრესის პირობად, ერთობლივად აცხადებენ, რომ ახლანდელი გამალებული შეიარაღება და განსაკუთრებით მასობრივი მოსპობის ატომური და წყალბადის იარაღის სულ უფრო დიდი მარაგისა და სულ ახალი და ახალი ტიპების შექმნა, აგრეთვე ამ იარაღის განუწყვეტელი გამოცდა ეწინააღმდეგება საერთაშორისო ურთიერთობის კეთილსასურველ განვითარებას და ხალხთა მხურვალე მისწრაფებას მშვიდობისადმი. ამიტომ ისინი ერთობლივად გამოთქვამენ რწმენას, რომ განიარაღებას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკუთვნის საერთაშორისო ურთიერთობაში.

ასეული მილიონობით ადამიანი მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ყველა ქვეყნის ომის ვეტერანები კანონიერად მოელიან პასუხისმგებელი ძალებისაგან განიარაღების შესახებ ხელშეკრულების დადებას. ისინი შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ თერმოატომგულის იარაღის მქონე დიდ სახელმწიფოთა შორის დღემდე არ არის მიღწეული შეთანხმება ამ იარაღის აკრძალვის შესახებ.

ორი ქვეყნის ომის ვეტერანთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს თერმოატომგულის იარაღის უაზრო, მავნე და საშიში გამოცდა.

საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ომის ვეტერანები, ადამიანები, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს ომის ყველა საშინელება და სხვებზე უკეთ ესმით, თუ რა საზარელ განადგურებას მოუტანდა კაცობრიობას ახალი ომი, კეთილი ნების ყველა სხვა ადამიანთან ერთად იმაღლებენ ხმას მშვიდობის შენარჩუნებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანების ორგანიზაცია და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის მებრძოლთა კავშირი, ძხარს უჭერენ რა თავიანთი ქვეყნებისა და ხალხების ღონისძიებებს და გამოთქვამენ რა თავიანთი ქვეყნების ომის ვეტერანების ნებას, მოუწოდებენ ყოფილ ფრონტელებს, პარტიზანებს, წინააღმდეგობის მებრძოლებს, ფაშიზმის ტყვეებს, ინვალიდებს, ქვრივებსა და ობლებს, ომით გაჩანაგებულთ მსოფლიოს ყველა ნაწილში, კეთილი ნების ყველა ადამიანს — ამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნას შეთანხმება განიარაღებისა და ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მოსთხოვონ თავიანთ მთავრობებს დაუყოვნებლივ დადონ შეთანხმება იმ საკითხებზე, რომლებზეც უკვე მიღწეულია თვალსაზრისთა დაახლოება.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა ორგანიზაციის და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის მებრძოლთა კავშირის წარმომადგენლებს შორის მოხდა აზრთა გაზიარება, რამაც გამოავლინა, რომ საკითხია ყველა ქვეყნის ვეტერანთა ორგანიზაციებს შორის კონტაქტების შემდგომი გაფართოება, რაც უეჭველ სარგებლობას მოუტანს მშვიდობის საქმეს და სერიოზული დაბრკოლება იქნება ატომური ომის გაჩაღების გზაზე.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა ორგანიზაციამ და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის მებრძოლთა კავშირის წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ უშუალო კონტაქტი ორ ორგანიზაციას შორის კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობას.

ბელგრადი, 1957 წლის 16 ივლისი.

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის მებრძოლთა კავშირის სახელით მებრძოლთა კავშირის გენერალური მდივანი

ვ. სტანოიჩი.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა ორგანიზაციის სახელით ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი

ს. ა. კოვპაკი.

ჯოუ ენ-ლაის საუბარი ეგვიპტის გაზეთ „ალ-მასის" რედაქტორთან

კაირო, 16 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ალ-მასამ" გამოაქვეყნა შინაარსი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის საუბრისა ამ გაზეთის რედაქტორთან ლუთფი ელ-ჰოლისთან, რომელიც ამას წინათ იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. საუბარი შეეხებოდა საკითხებს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა თანამშრომლობის შესახებ მათს საერთო მისწრაფებაში უზრუნველყონ მშვიდობა და თავიდან აიცილონ ახალი ომის საფრთხე.

ჯოუ ენ-ლაიმ მხარი დაუჭირა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი კონფერენციის მოწვევას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხებმა წინანდელი სიმტკიცით უნდა წარმართონ თავიანთი ღონისძიებანი ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, განსაკუთრებით ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის დარგში. აღნიშნა რა, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხთა ფრონტი თანდათან იზრდება და მტკიცდება, ჯოუ ენ-ლაიმ თქვა, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხებს შეუძლიათ მოახდინონ ომის გამჩაღებელთა იზოლაცია და დაიცვან მშვიდობა.

ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა, რომ „ეიზენჰაუერის დოქტრინა" შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის არის ახალი იმპერიალისტური გეგმა, რომლის მიზანია ამ რაიონში კოლონიური სისტემის გადარჩენა იმ გზით, რომ ინგლის-საფრანგეთის კოლონიალიზმის ძველი ფორმები ამერიკის იმპერიალიზმის ახალი ფორმით შეიცვალოს. „ეიზენჰაუერის დოქტრინა", თქვა მან, ისახავს ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა დათრგუნვისა და ექსპლოატაციის იმავე მიზნებს. ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ისრაელის აგრესია არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ, რაც გრძელდება, ნაწილია საერთო აგრესიისა იმპერიალიზმის ახალ პოლიტიკაში, რომელსაც იგი ამ რაიონში ახორციელებს.

ჯოუ ენ-ლაიმ გაზეთ „ალ-მასის" მეშვეობით გამოთქვა ჩინელი ხალხის დიდი სიმპათია და პატივისცემა ეგვიპტელი ხალხისა და არაბთა სხვა ქვეყნების ხალხებისადმი, რომლებიც ეწევიან ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის.

პრეზიდენტი ხო ში მინი პრაღაში

პრაღა, 17 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით დღეს პრაღაში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი.

ამხანაგ ხო ში მინსა და მის თანმხლებ პირებს აეროდრომზე შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ზაპოტოცკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ფინანსთა მინისტრი ა. ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარე ვ. შიროკი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კოპეცკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი რ. ბარაკი, ეროვნული ფრონტის ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ჩეხოსლოვაკი და უცხოელი ჟურნალისტები. პრეზიდენტ ხო ში მინს აგრეთვე შეხვდა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი.

პრეს-კონფერენცია თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 17 ივლისი. (საკდესი). დღეს გაიმართა პრეზიდენტ ეზენჰაუერის მორიგი პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, უპასუხა რა კითხვებზე, გამოთქვა მთელი რიგი საკუთარი შენიშვნები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.

„შემდეგ პრეზიდენტს მისცეს კითხვები საბჭოთა და ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეების შეხვედრის, კერძოდ, მარშალ გ. კ. ჟუკოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის შეხვედრის გეგმების თაობაზე, რომელთა შესახებ ცნობები პრესაში იბეჭდება. ეიზენჰაუერმა თქვა, რომ იგი მზად არის იბრძოლოს ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობისათვის. მაგრამ, ეიზენჰაუერის სიტყვებით, შეხვედრების საკითხში საჭიროა სიფრთხილე, რადგან ასეთი შეხვედრები ყოველთვის იძლევიან საბაბს დიდი იმედებისათვის, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს იმედგაცრუებით იმ შემთხვევაში, თუ შეხვედრამ ვერ გაამართლა ეს იმედები. ეიზენჰაუერმა კვლავ განაცხადა, რომ დიდი ურთიერთგაგების მიღწევა იმდენად დიდმნიშვნელოვანი მიზანია, რომ ასეთი შეხვედრების მოწყობასთან დაკავშირებულ რისკს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მე ვერ ვხედავ მიზეზს ვთქვა, განაცხადა პრეზიდენტმა, რომ ასეთი შეხვედრა სასარგებლო არ იყოს.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა, დაიმოწმა რა ლონდონში მიმდინარე მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, ჰკითხა პრეზიდენტს, ლოგიკურია თუ არა ნატოსთან ატომური იარაღის მარაგის შექმნა. უპასუხა რა ამ კითხვაზე, პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ ასეთი მარაგის შექმნა თითქოს „ლოგიკურია". მან განაცხადა, რომ ახლა სწავლობენ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელების შედეგად ნატო გადაიქცევა „საკმაოდ ეფექტიან სამხედრო ორგანიზაციად".

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჯგუფის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

ნიუ-იორკი, 18 ივლისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგანგებო ცნობით, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჯგუფმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ კვლავ განიხილოს ალჟირის პრობლემა. იგი მოითხოვს შეტანილ იქნას „ალჟირის საკითხი" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალი მე-12 სესიის დღის წესრიგში.

წერილს ხელს აწერენ აზიისა და აფრიკის 21 ქვეყნის, მათ შორის ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიის, იაპონიის, ირანის, პაკისტანის, სირიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

თურქი კალათბურთელები თბილისში

ერთვნული გიბლიოთეკა

გუშინ დილას თბილისში მატარებლით ჩამოვიდა სტამბოლის „გალატასარაის" (თურქეთი) კალათბურთელთა გუნდი.

სტუმრებს სადგურზე შეხვდნენ თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტული საზოგადოებების წარმომადგენლები. „გალატასარაის" კალათბურთელებს თაიგულები უძღვნეს.

სტამბოლის „გალატასარაის" კლუბი, რომლის ფეხბურთელებს ჩვენს ქვეყანაში ამ ცოტა ხნის წინ გაეცნენ, თურქეთის ერთ-ერთი პოპულარული და უძველესი კლუბია. ამ კლუბის კალათბურთელთა გუნდი თურქეთში უძლიერესად ითვლება. მისი რამდენიმე მოთამაშე თურქეთის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში თამაშობს. ამას წინათ სოფიაში ჩატარებულ ევროპის X ჩემპიონატში კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის თურქეთის ნაკრებმა მეცხრე ადგილი დაიკავა და მეორე ფინალურ ჯგუფში უძლიერესის სახელი მოიპოვა (დაამარცხა ფინეთის, ბელგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შოტლანდიის, ალბანეთისა და იტალიის გუნდები).

„გალატასარაის" კალათბურთელთა გუნდი ჩამოვიდა სსრ კავშირის ფიზკულტურული ორგანიზაციების მოწვევით. თბილისში შეხვედრების შემდეგ იგი გაემგზავრება ბაქოში და ითამაშებს ადგილობრივ ნაკრებთან, აქედან გაემგზავრება მოსკოვში ახალგაზრდობის III საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობის მისალებად.

დღეს, 19 ივლისს, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში. „გალატასარაის" კლუბის წარმომადგენლები შეხვდებიან თბილისის „დინამოს" კალათბურთელებს, ხოლო ხვალ — „ბურევესტნიკის" გუნდს. ორივე შეხვედრა დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს.

* * *

სურათზე: „გალატასარაის" კლუბის კალათბურთელთა გუნდი თბილისის ვაგზალში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ემზადებიან დიდი ასპარეზობისათვის

მალე მოსკოვში დაიწყება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი. ფესტივალის პარალელურად ივლისის ბოლო რიცხვებში დედაქალაქში გაიმართება ახალგაზრდობის მესამე საერთაშორისო მეგობრული თამაშები.

ახლა ამ დიდი შეჯიბრებისათვის ემზადებიან მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სპორტსმენები, ახალგაზრდები, სტუდენტები. ასპარეზობისათვის ენერგიულად ემზადებიან საბჭოთა სპორტსმენები. უძლიერესთა გამოსავლენებლად მოწყო შერჩევითი შეხვედრები, დაკომპლექტდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მზადებას შეუდგნენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. ამ გუნდებში საქართველოდან შედიან: კლასიკურ ჭიდაობაში — მ. ღუდუშაური (ქვემსუბუქი წონა), ა. ჭორიძე (მსუბუქი წონა), რ. აბაშიძე (ქვემძიმე წონა); თავისუფალ ჭიდაობაში — ზ. მჭედლიშვილი (უმჩატესი წონა), გ. ჯინჭარაძე (ქვემსუბუქი წონა), ო. კანდელაკი (მძიმე წონა).

სსრ კავშირის პირველობაზე

17 ივლისს მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა" და კიშინიოვის „ბურევესტნიკის" ფეხბურთელთა გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ 3:3.

სასამართლოს დარბაზიდან

მობინადრეთა დახმარებით ქურდი შეიპყრეს

გაზაფხულის ერთ საღამოს ყვირილს ქ. № 8 სახლში მამალაძეების ბინიდან ქალის კივილი გაისმა:

— მიშველეთ! ქურდი!

მობიხადრეხი მეზობლის დასახმარებლად გაეშურნენ.

ქურდს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ეშმაკობას მიმართა — ოთახიდან გამოვარდა ყვირილით:

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ, ქურდი იქით გაიქა!

მაგრამ მილიციის მუშაკმა ს. ოგბაიძემ მოქალაქეების ს. კარაპეტიანისა და ბ. გეორქოვის დახმარებით მძარცველი გ. ყავლაშვილი ადგილზე შეიპყრო.

ამ დღეებში თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა მძარცველ გ. ყავლაშვილის საქმე. გამოძიებისას გამოირკვა, რომ ეს ცხრამეტი წლის ახალგაზრდა ქურდობისათვის წინათაც ყოფილა პასუხისგებაში მიცემული. სასამართლომ გამოუსწორებელ დამნაშავეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა თხუთმეტი წლის ვადით შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით და სასჯელის მოხდის შემდეგ სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

მ. საქარელი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1957-1958 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ენათმეცნიერების ინსტიტუტი — ქართველური ენები, მთის იბერიულ-კავკასიური ენები, ადიღეს ენის ისტორია (ადიღეს ავტონომიური ოლქისათვის) — თითო ადგილი.

ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი — საქართველოს არქეოლოგია, კავკასიის არქეოლოგია (ადიღეს ავტონომიური ოლქისათვის) — თითო ადგილი.

შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი—ახალი ქართული ლიტერატურა (XIX ს.); ადიღეს ფოლკლორი, ადიღეს საბჭოთა ლიტერატურა (ადიღეს ავტონომიური ოლქისათვის) — თითო ადგილი.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი — ქართული ხელოვნების ისტორია, ადიღეს ხელოვნების ისტორია (ადიღეს ავტონომიური ოლქისათვის) — თითო ადგილი.

ფილოსოფიის ინსტიტუტი — ბუნებისმეტყველების ფილოსოფია (ასპირანტი მომზადდება ქ. მოსკოვში) — ერთი ადგილი.

დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი — შრომის ფსიქოლოგია — ერთი ადგილი.

ეკონომიკის ინსტიტუტი—მრეწველობის ეკონომიკა, ეკონომიური აზრის ისტორია— თითო ადგილი.

აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი — აფხაზეთის ხელოვნების ისტორია, აფხაზეთის საბჭოთა პერიოდის ისტორია — თითო ადგილი.

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი — რიცხვთა თეორია, მოახლოებითი ანალიზი და გამოთვლითი ტექნიკა — თითო ადგილი.

ფიზიკის ინსტიტუტი — კოსმოსური სხივების ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა (ლითონთა ფიზიკა), თეორიული ფიზიკა, ბირთვული რეაქტორის თეორია—თითო ადგილი.

პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი — ფიზიკური ქიმია, ორგანული ქიმია — თითო ადგილი.

გეოლოგიური ინსტიტუტი — ლითოლოგია, მიკროპალეონტოლოგია, სპორების და მტვრის ანალიზი (ასპირანტი მომზადდება ქ. ლენინგრადში) — თითო ადგილი.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი — ფიზიკური გეოგრაფია — ერთი ადგილი.

გამოთვლითი ცენტრი—მიახლოებითი ანალიზი და გამოთვლითი ტექნიკა—სამი ადგილი.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია — მზის ფიზიკა — ერთი ადგილი.

ბოტანიკის ინსტიტუტი — მცენარეთა სისტემატიკა და გეოგრაფია, ლიქენოლოგია— თითო ადგილი.

სატყეო ინსტიტუტი — მეტყევეობა — ერთი ადგილი.

ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი — ნიადაგის ქიმია — ერთი ადგილი.

მიწათმოქმედების ინსტიტუტი — მემცენარეობა, მებოსტნეობა — თითო ადგილი.

მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი — მეხილეობის სელექცია, მევენახეობის სელექცია — ამპელოგრაფია — თითო ადგილი.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი — ტოქსიკოლოგია — ერთი ადგილი.

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი — სამთო საქმე, ფოლადის მეტალურგია, ლითონმცოდნეობა, ფერადი ლითონების მეტალურგია (ასპირანტი მომზადდება ქ. მოსკოვში) — თითო ადგილი.

ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი — ჰიდროენერგეტიკა, ჰიდრავლიკა — თითო ადგილი.

სამშენებლო საქმის ინსტიტუტი — რკინაბეტონი, ნაგებობათა სეისმომდგრადობა — თითო ადგილი.

ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი — ელექტრონიკა — ორი ადგილი, ნახევრადგამტარები, ტელემექანიკა, ავტომატური მართვა — თითო ადგილი (ინსტიტუტის ყველა ასპირანტი მომზადდება ქ. მოსკოვში).

გამოყენებითი ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი — არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (სილიკატები), კოქსის ქიმია, გამოყენებითი ელექტროქიმია, მსუბუქ ლითონთა მეტალურგია—თითო ადგილი.

ზოოლოგიის ინსტიტუტი — ხერხემლიანთა ეკოლოგია — ერთი ადგილი.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი — ჰისტოლოგია — ერთი ადგილი.

ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი — ზოგადი ფიზიოლოგია, ბიოფიზიკა — თითო ადგილი.

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი — ექსპერიმენტული ქირურგია, კლინიკური ქირურგია — თითო ადგილი.

მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი — ექსპერიმენტული კარდიოლოგია — ერთი ადგილი

პალეობიოლოგიის სექტორი — პალეონტოლოგია — ერთი ადგილი.

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი — ახლო აღმოსავლეთის ხალხების ეთნოგრაფია — ერთი ადგილი.

ასპირანტურაში მიღება მოხდება აგრეთვე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ შემდეგ სპეციალობებზე:

ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი — ქართული მუსიკალური ფოლკლორი — ერთი ადგილი.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი — კულტურის ძეგლთა რესტავრაცია — ერთი ადგილი.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი — ეკონომიური გეოგრაფია — ორი ადგილი.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია — მზის ფიზიკა — ერთი ადგილი.

სატყეო ინსტიტუტი — სატყეო მეურნეობის ორგანიზაცია და ტყის ტაქსაცია — ერთი ადგილი.

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი — ავტომობილისა და ტრაქტორის ძრავები, ცეცხლგამძლე მასალები — თითო ადგილი.

სამშენებლო საქმის ინსტიტუტი — ასაწყობი რკინაბეტონი — ერთი ადგილი.

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი — ორგანული ქიმია — ერთი ადგილი.

ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება არჩეული სპეციალობის მიხედვით, არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი და გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი.

დაუსწრებელ (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ) ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 45 წლის ასაკამდე. ამასთანავე აქ შემსვლელი უნდა მუშაობდეს სპეციალობის მიხედვით და ჰქონდეს მუშაობის 2 წლის სტაჟი მაინც.

მიმდინარე წელს წარმატებით კურსდამთავრებულნი ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან, უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, მხოლოდ თეორიულ დისციპლინებში.

ასპირანტურაში შემსვლელმა განცხადება უნდა შეიტანოს როგორც სათანადო ინსტიტუტის დირექტორის, ისე აკადემიის ასპირანტურის განყოფილების სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, კადრების აღრიცხვის პიროადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დახასიათება სამსახურის უკანასკნელ ადგილიდან, პარტიული დახასიათება, ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, დაბეჭდილ შრომათა სია, სამეცნიერო შრომა ან რეფერატი, 3 ფოტოსურათი. იმ პირებმა, რომლებმაც მიმდინარე წელს დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან ამონაწერი რეკომენდაციის მიცემის შესახებ.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ცალად.

საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 5 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

იმ სპეციალობებში, რომლებშიც ასპირანტის მომზადება იწარმოებს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, საბუთები შეტანილ უნდა იქნას 5 აგვისტომდე სამ ცალად (ორი ქართულ და ერთი რუსულ ენაზე).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში — თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, ტელეფონი 3-67-53.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1956-57 წ.წ. სეზონი

სეზონის დასურვა

განახლებული დადგმით 2 წარმოდგენა შაბათს, 20 და კვირას, 21 ივლისს

გ. ქელბაქიანი

ახალგაზრდა მასწავლებელი

პიესა 4 მოქმედებად

დამდგმელი — აკ. დავლიშვილი

მხატვარი — ფ. ლაპიაშვილი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი).

კომპოზიტორი — რ. ლაღიძე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ბილეთები იყიდება